

**საბაჟო წარმომადგენელი 020353**  
**(სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)**  
**პროფესიული სტანდარტი**

### **I. სფეროს აღწერა**

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული კვალიფიკაცია განეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგობრივ სფეროს და ორიენტირებულია საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანის პროცესში სასაქონლო ოპერაციების თანამედროვე სტანდარტებით განხორციელებაზე.

### **II. დასაქმების სფერო**

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმდება საბროკერო კომპანიებში, ლოჯისტიკურ და სატრანსპორტო კომპანიებში, ტერმინალებში, საწყობებში, გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (გეზი), თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, სერვისცენტრებში, საჯარო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

### **III. დამატებითი მოთხოვნები**

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაჟო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.
- პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, საბაჟო წარმომადგენელს (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტს) ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით, შესაბამისად, საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა პირის 16 წლის ასაკის შესრულება;

#### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (მესამე, მეოთხე და მეხუთე) თითოეული საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცივმა პროფესიული დიპლომი.

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან არანაკლებ 40% ეთმობა პრაქტიკას. საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან არანაკლებ 40% ეთმობა პრაქტიკას. საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან არანაკლებ 40% ეთმობა პრაქტიკას. საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) კვალიფიკაციის აღმწერი

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის სასაქონლო ოპერაციების სახეები და მათი გამოყენების სპეციფიკა. იცნობს: სასაქონლო დეკლარაციებს და დეკლარირების ფორმებს, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტაციის სახეებს; სატარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს, ინტეგრირებულ ტარიფს, ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურას და მისი გამოყენების მთავარ პრინციპებს, გადასახადებსა და მათ განაკვეთებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები.</p>	<p>შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის მიზნით სათანადო დოკუმენტაციის, სტანდარტული სავაჭრო დოკუმენტების შედგენა (კონტრაქტი, ინვოისი და სხვა), სატარიფო ღირებულების, საჭირო ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების განსაზღვრა, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრა, კონკრეტული საქონლისა და სასაქონლო ოპერაციების მიხედვით გადასახადების სახეობებისა და განაკვეთების განსაზღვრა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია კლიენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ინფორმაციის მიღება და გადამუშავება; მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობის აღმოჩენა, უზუსტობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, მის ხელთ არსებული წყაროებიდან დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი; მომხმარებელთა საჭიროების გააზრება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციაში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია საქმიანი სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი დოკუმენტაციის შედგენა ან არსებული შაბლონების სწორად შევსება, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის გაგზავნა/მიღება თანამედროვე კომუნიკაციის ადეკვატური საშუალებებით; საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო ენაზე შესრულებული დოკუმენტებიდან საჭირო ინფორმაციის მიღება; MS Windows, MS Word, MS Excel-ის, ინტერნეტის გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელთან კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია სასაქონლო ოპერაციების მარეგულირებელ ძირითად აქტებში განხორციელებული ცვლილებების დამოუკიდებლად გაგება წინასწარი მითითებით.</p>

ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	მოქმედებს საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული ღირებულებების შესაბამისად, კერძოდ, მიუხედავად გარემოებებისა, იცავს: ინფორმაციის კონფიდენციალურობას, შრომის უსაფრთხოების წესებს, ეთიკურ ნორმებს.
--------------	---	---

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცნობს მეწარმეობის ძირითად პრინციპებს და მის სამართლებრივ გარემოს, ასევე საერთაშორისო ბიზნესის წარმოების სპეციფიკას; აქვს ზოგადი წარმოდგენა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურისა და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ; იცნობს საქართველოში მოქმედ საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების საშუალებებს, სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და მათი გამოყენების პრინციპებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სასაქონლო ოპერაციების განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით დასაბუთებული წინადადებების შემუშავება პროცედურულ საკითხებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათი რიგითობისა და პრიორიტეტულობის დაცვით; სასაქონლო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვება, მათი სანდოობის ხარისხის განსაზღვრა, შეგროვება- დაჯგუფება, აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს; მიღებულ შედეგებს აანალიზებს და იყენებს საკუთარი პროფესიული სრულყოფისათვის.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია: დამსაქმებლის საქმიანობის გააზრება და გათვალისწინება სასაქონლო ოპერაციების შესასრულებლად; კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, სატრანსპორტო, სასაქონლო, გეოგრაფიული და სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირების გზით შესაბამისი მიდგომის შემუშავება და სავარაუდო შედეგების ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახლი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხო ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია; დისკუსიაში მონაწილეობა საგარეო ვაჭრობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე; ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, არსებულის განახლება და მათი გამოყენება საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული ოპერაციების უკეთესად განხორციელებისათვის; ინგლისურ ენაზე საგარეო სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს საგარეო ვაჭრობის სფეროში საქმიანობის დინამიკური ხასიათი და შეუძლია ცოდნის განახლების მიმართულებების განსაზღვრა, საჭირო ინფორმაციის წყაროების იდენტიფიკაცია.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>საქმიანობისას პასუხისმგებლობით ეკიდება დისციპლინას, ქცევის დადგენილ ნორმებს და საკუთარ მოვალეობებს, კონფიდენციალურ ინფორმაციას, შრომის უსაფრთხოების წესებს.</p>

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს სასაქონლო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი პრინციპის, ფაქტისა და პროცედურის ცოდნა; საფუძვლიანად იცნობს; სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს; საქონელმცოდნეობისა და ექსპერტიზის ძირითად პრინციპებს; იცნობს სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებული გადასახადების ადმინისტრირების წესებს; საქმიანობის სფეროში არსებულ სამართალდარღვევებს და შესაძლო პასუხისმგებლობის ზომებს; სატრანსპორტო და სასაწყობო სპეციფიკას და ლოჯისტიკის ძირითად პრინციპებს; გაცნობიერებული აქვს სწორი ფინანსური აღრიცხვის წარმოების მნიშვნელობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია; სასაქონლო ოპერაციების განხორციელების პროცესში მონაწილეობის მიღება კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში; ყოველდღიური სამუშაო გრაფიკის შედგენა და ხელმძღვანელობა, დასახული ამოცანების განრიგის შესაბამისად გადაჭრა; გადასახადების ოდენობის დაანგარიშება, საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების გამოყენება, სასაქონლო დეკლარაციის შევსება საბაჟო მონაცემთა დამუშავების ერთიანი ელექტრონული სისტემის (ASYCUDA) გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ლიცენზიების ან/და ნებართვების მოპოვება; საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურის ორგანიზება დადგენილ ვადებში; ყოველდღიური საქმიანობის მარტივი ფინანსური აღრიცხვის წარმოება და ანგარიშგება ადეკვატური ფორმით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს; სამეწარმეო, საგადასახადო და ბიზნესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების გაგებისა და დამსაქმებლის საქმიანობაზე გავლენის ანალიზის უნარი; კრიტიკულ სიტუაციებში ეფექტურად მოქმედებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი; შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებსა და შეზღუდული დროის პირობებში კლიენტურის მოთხოვნების ანალიზი და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიება; ეკონომიკური საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული დავების განხილვის მიზნით დასაბუთებული წინადადებებისა და მოსაზრებების შემუშავება.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია: ოფიციალური მიმოწერის წარმოება და სტანდარტული დოკუმენტაციის მომზადება, მათ შორის უცხოურ ენაზე; ანგარიშების მომზადება და ეფექტური პრეზენტაცია ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით; ფლობს ინგლისურ ენას თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე სავაჭრო ტერმინოლოგიის გამოყენებით; შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისა და საჭირო ინფორმაციის მოძიებისათვის.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტაციაში ცვლილებებისა და დამატებების ან ახალი დოკუმენტების სარწმუნო წყაროდან მოპოვება ან მიღებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის განსაზღვრა და ადეკვატური ინტერპრეტაცია.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	აფასებს საკუთარ და სხვების მიერ ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების დაცვას, გათავისებული აქვს ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის კონსტრუქციულ ურთიერთობათა მნიშვნელობა, კონტრაბანდისა და ფინანსურ სამართალდარღვევათა საფრთხე და ნეგატიური ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე; ინტერპერსონალურ ურთიერთობებში იცავს სამართლიანობისა და პატიოსნების პრინციპებს, იცავს სამუშაოს შესრულების ხარისხსა და ვადებს.